საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქცია

(რეკომენდაცია)

თბილისი
2020

UAC უაკ 591..951.598.2.

გ - 511

აღნიშნული ნაშრომი განკუთვნილია სამონადირეო მეურნეობების სპეციალისტებისათვის, ასევე გარეული ფრინველის მოშენების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. მასში განხილულია ის ძირითადი სამუშაოები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის ინტროდუქციისას. კერძოდ, სამუშაოების დაგეგმვა ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქციის დროს; ძირითადი მოთხოვნები იმ ადგილების მიმართ სადაც უნდა მოხდეს ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვება; ინტროდუცენტების ასაკი და ბუნებაში გაშვების დრო; ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის მოზარდის ტრანსპორტირება; ბუნებაში გაშვების ტექნიკა; ბიოტექნიკური ღონისძიებები ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვებისას; ბუნებაში გაშვებულ გარეულ ფრინველზე ნადირობის ორგანიზაცია.

ავტორი:

ანატოლი გიორგაძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი, - სოფლის მეურნეობის დოქტორი.

რეცენზენტი:

მარინე ბარვენაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“.

ISBN 978-9941-8-2554-5

სარჩევი

შესავალი

1. სამუშაოების დაგეგმვა ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქციის დროს .....
2. ძირითადი მოთხოვნები იმ ადგილების მიმართ, სადაც უნდა მოხდეს ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვება.....
3. ინტროდუცენტების ასაკი და ბუნებაში გაშვების დრო .....
4. ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის მოზარდის ტრანსპორტირება .....
5. ბუნებაში გაშვების ტექნიკა .....
6. ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვების დროს ჩასატარებელი ბიოტექნიკური ღონისძიებები .....
7. ბუნებაში გაშვებულ გარეულ ფრინველზე ნადირობის ორგანიზაცია .....

გამოყენებული ლიტერატურა .....

ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქცია

შესავალი

სამონადირეო ფრინველის ძირითადი ბიოტოპების, განსაკუთრებით ბუდეებიანი სტაციების შემცირების ფონზე, ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის გაშვება (ინტროდუქცია) სამონადირეო სავარგულებში მისი მთლიანი მოცულობის გამოყენების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება გარეული ფრინველის ხელოვნურად გამრავლება. მათ შორის ისეთი სახეობების, როგორიცაა: ხოხობი, გნოლი, იხვი და სხვა. აღნიშნული ღონისძიებები ძალზედ მნიშვნელოვანია სამონადირეო მეურნეობების წარმატებული ფუნქციონირებისათვის. ამასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის მეცნიერულად დასაბუთებულ გამოყენებას, რომლის ძირითად მიზანს, ნადირობის სეზონისათვის სამონადირეო სავარგულების გარეული ფრინველით შევსება წარმოადგენს.

როგორც წესი, სამონადირეო სავარგულების უდიდესი ნაწილი თავისი ტევადობით უზრუნველყოფს საზაფხულო-საშემოდგომო პერიოდში გარეული ფრინველის დიდი რაოდენობით არსებობას, თუმცა იგივე სავარგულები ბუდეების ტევადობის მხრივ, განსაკუთრებით ანთროპოგენურ ლანდშაფტში, მეტად მცირეა. ამიტომ, გარეული ფრინველის ბუნებრივი აღწარმოების დროს არსებული სავარგულების საშემოდგომო-საზაფხულო ტევადობა სრულყოფილად არ გამოიყენება.

სამონადირეო სავარგულების ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველით შევსება საშუალებას იძლევა დროის მცირე მონაკვეთში, ნადირობის სეზონისათვის, შეიქმნას ფრინველის მაღალი კონცენტრაცია ანთროპოგენურ ლანდშაფტებში, ათეულჯერ გაიზარდოს მათი რაოდენობა და ამით სრულად დაკმაყოფილდეს მონადირე სპორტსმენების მოთხოვნილება. როდესაც სამონადირეო სავარგული მთელი წლის განმავლობაში აკმაყოფილებს გარეული ფრინველის რომელიმე სახეობის არსებობისათვის საჭირო კომპლექსურ პირობებს და აღწარმოებაც მაღალია, მაშინ ასეთ სავარგულში შესაძლებელია ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველების გაშვება აკლიმატიზაციისა და რეაკლიმატიზაციისათვის. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ფრინველი შეეჩვევა გარემო პირობებს და სათანადოდაც გამრავლდება, მასზე ნადირობა დაიშვება. აღსანიშნავია, რომ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ასეთი სავარგულები სულ უფრო მცირდება. ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქცია ხელს უწყობს ფრინველების სინანთროპული პოპულაციების შექმნას, რომლებიც უკეთ ეგუებიან ანთროპოგენურ ლანდშაფტებში არსებობის პირობებს.

აღსანიშნავია, რომ წყალსატევში გაშვებული ხელოვნურად გამოზრდილი იხვი იზიდავს სხვა გარეულს, შედეგად მათი რიცხვი ნადირობის სეზონისათვის 2-3 ჯერ იზრდება; ხოხბის შენარჩუნების მიზნით წარმოებული ინტროდუქცია უზრუნველყოფს გარეული ფრინველის ისეთი აბორიგენული სახეობების რაოდენობის ზრდას, როგორიცაა: გნოლი, მწყერი, როჭო. ასევე იზრდება რუხი კურდღლის რიცხოვნობაც. Aამდენად ხელოვნურად გამოზრდილ გარეულ ფრინველზე ნადირობა, ბუნებაში არსებულ გარეულ ფრინველთა პოპულაციების გაფრთხილების და შენარჩუნების მეტ საშუალებას იძლევა.

ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად მოშენებული გარეული ფრინველის გაშვება ბუნებაში ხდება ყოველწლიურად ნადირობის სეზონის დაწყებამდე. მონადირეების მიერ მისი ძირითადი ნაწილი მოიპოვება ფრინველის არსებობისათვის არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების დაწყებამდე, რის შედეგად დარჩენილი ნაწილი დიდი ალბათობით დასაღუპადაა განწირული.

ხელოვნური ფრინველის ინტროდუქცია არა ერთჯერადი, არამედ სისტემატიური (ყოველწლიური), კომპლექსური ღონისძიებაა, რომლის წარმატებაც დამოკიდებულია ბუნებაში გაშვების სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების ორგანიზებაზე და ნადირობის შედეგზე.

გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვება შეიძლება მოხდეს მცენარეების მავნებლებისაგან ბიოლოგიურად დაცვის მიზნით (ხოხობი და გნოლი ანადგურებენ კოლორადოს ხოჭოს, ჭარხლის ცხვირგრძელას, კომბოსტოს ფრთათეთრას და სხვა), ხოლო რაც შეეხება დიდი ქალაქების მწვანე ზონებს, ეროვნულ პარკებს, მათ აქ ესთეტიკური მიზნებით უშვებენ.

1. სამუშაოების დაგეგმვა ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქციის დროს

ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გასაშვებად საჭირო სამუშაოების დაგეგმვა აუცილებლად უნდა მოხდეს საქართველოს კანონით "ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ" გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით.

აღსანიშნავია, რომ თუ ფერმაში გამოზრდილი გარეული ფრინველის გასაშვებად გამიზნულ ტერიტორიაზე ბინადრობს მისი რომელიმე ქვესახეობა, ან ახლოს მდგომი ფორმა, მაშინ ამ არეალში მისი ინტროდუქცია არ შეიძლება, რადგან შესაძლებელია მოხდეს ჰიბრიდული ფორმების გაჩენა ან აბორიგენული ფორმებისათვის საარსებო პირობების გაუარესება. გარეული ფრინველის ხელოვნურად გამრავლების დროს აუცილებელია დაცული იყოს ცხოველთა სამყაროს არსებული მრავალფეროვნება და გენეტიკური სიწმინდე.

გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვებას წინ უნდა უსწრებდეს იმ სავარგულის გამოკვლევა და შეფასება (ბონიტირება), რომელშიც იგეგმება ინტროდუქცია. სამუშაოების ჩატარების დროს აუცილებელია განისაზღვროს სამონადირეო სავარგულის კვებითი და

თავდაცვითი ტევადობა, მტაცებლების რაოდენობა, დაისახოს ძირითადი ბიოტექნიკური ღონისძიებები და ამის საფუძველზე განისაზღვროს გასაშვებად გამიზნული მოზარდის რაოდენობა. აღნიშნულ სამუშაოებს წინასწარ ატარებენ მონადირეობათმცოდნეები მეურნეობის სავარგულების კარგად მცოდნე რეინჯერებისა და გამოცდილი მონადირეების დახმარებით. საკითხის განხილვისას ძირითადი ყურადღება მეურნეობაში ნადირობის მოწყობის პროექტს ეთმობა.

ბოლოს, თითოეული საკითხის გათვალისწინებით დგება ინტროდუქციისათვის საჭირო ღონისძიებების გეგმა, რომელშიც მითითებულია ბუნებაში გაშვების კონკრეტული ადგილები, ბიოტექნიკური ღონისძიებების ჩამონათვალი და მოცულობა, გასაშვები მოზარდის რაოდენობა. წინა წელს ბუნებაში გაშვებული გარეული ფრინველის ინტროდუქციის შედეგების საფუძველზე ყოველწლიურად ხდება (ინტროდუქციის) სამუშაო გეგმის კორექტირება.

2. ძირითადი მოთხოვნები იმ ადგილების მიმართ, სადაც უნდა მოხდეს ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვება

ფრინველის გასაშვებად ადგილის შერჩევის დროს, ითვალისწინებენ აღნიშნული სახეობის ბიოლოგიურ თავისებურებას, მის მოთხოვნებს საკვებზე, წყალზე და გარემოში თავის დასაცავად არსებულ პირობებზე. გარდა ამისა ყურადღება ექცევა იმას, რომ:

ა) ფრინველის გასაშვებად შერჩეული ტერიტორია დაშორებული იყოს დასახლებული პუნქტიდან და მთლიანად გამოირიცხოს ან მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ფრინველის გამაღიზიანებელი ფაქტორები.

ბ) ფრინველის საბინადრო ადგილი მდებარეობდეს დაცული ტერიტორიის ცენტრში, რათა თანაბრად გადანაწილდეს გაშვებული ფრინველის რაოდენობა და ამასთანავე ხელმისაწვდომი იყოს ნადირობის ორგანიზებისათვის.

გ) მცირე რაოდენობით იყოს მტაცებლები და ფრინველის სხვა მტრები.

გარემოს კვებითი ტევადობის შეფასების დროს ყურადღება ეთმობა ფრინველის ბუნებრივ საკვებს და მის სიუხვეს. საკვები ბაზის გაუმჯობესების მიზნით ირგვება და ითესება ფრინველის საკვებად გამოსადეგი მცენარეები; ხდება ხელოვნური კვების ორგანიზება; ფასდება სავარგულში ფრინველის თავდაცვის შესაძლებლობა და ისახება მისი გაუმჯობესების გზები.

ხოხბისა და გნოლისათვის აუცილებელია ხე-მცენარეებითა და ბუჩქნარით დატვირთული საარსებო გარემო, სასოფლო-სამეურნეო ნათესების - მარცვლოვნებისა და საკვები კულტურების სიახლოვე, ტყეების მონაცვლეობა მინდვრებთან, კორდებთან და დიდი ფართობის მქონე ტყისპირიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, ვინაიდან

აღნიშნული ფრინველები, განსაკუთრებით კი გნოლი გაურბის ტყის გაბმულ მასივებს. გარდა ამისა ფრინველებს ესაჭიროებათ ბუნებრივი ან ხელოვნური სარწყულებლები. სასურველია, რომ ხოხბისთვის ტყის და მინდვრის სავარგულების თანაფარდობა იყოს 1:3; გნოლისთვის ოპტიმალურ პირობებს წარმოადგენს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ტერიტორიის 20% უკავია ბუჩქნარს, ნარგავებსა და ტრამალებს.

ხოხობზე ნადირობის ორგანიზების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფრინველის გასაშვებად შერჩეული ნაკვეთის კონფიგურაციას. საუკეთესო შედეგებს იძლევა გარეული ფრინველის გაშვება ბუნებრივი ზღუდეების მქონე მიდამოებში. ჩვეულებრივ ეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვრცელ ნათესებს შორის მოქცეული ტყით დაფარული მცირე ტერიტორიებია.

იხვისთვის სასურველია წყალქვეშა და წყალზედა მცენარეებით, ხერხემლიანი ცხოველებით მდიდარი წყალსატევი, რომელსაც აქვს დაქანებული ნაპირები და კუნძულები.

მხედველობაშია მისაღები ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის პოტენციური მტრების სახეობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობაც. ოთხფეხა მტაცებლებიდან განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს მელა, ენოტისმაგვარი ძაღლი, კვერნა, ასევე მაწანწალა ძაღლები და კატები, ფრინველებიდან – ყვავი, კაჭკაჭი, ჭაობის ძელქორი და სხვა. ყოველივე ეს კიდევ უფრო საშიში ხდება მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია.

3. ინტროდუცენტების ასაკი და ბუნებაში გაშვების დრო

ბუნებრივ სავარგულებში გასაშვები ფრინველის მოზარდის ასაკი დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორიცაა წლის და რეგიონის კლიმატური პირობები, სავარგულების (ტერიტორიების) მომზადება, ბუნებაში გაშვების მეთოდი და გარეული ფრინველის სახეობა. ადრეულ ასაკში ინტროდუქცია ფრინველს ეხმარება ახალ საარსებო გარემო პირობებთან სწრაფ ადაპტაციაში. ამავდროულად ყურადსაღებია, რომ მოზარდს ჯერ კიდევ არა აქვს განვითარებული თერმორეგულაცია (ის საჭიროებს დამატებით სითბოს), დამოუკიდებლად საკვების მოპოვების უნარი და არ ძალუძს მტაცებლებისაგან თავის გადარჩენა. ყველა ეს თვისება მხოლოდ ასაკის მატებასთან ერთად ყალიბდება.

სამხრეთ რეგიონებში ხელოვნურად გამოზრდილი გარეული იხვის გაშვება ბუნებაში რეკომენდებულია 3 კვირის ასაკში, ცენტრალურ და ჩრდილოეთ რეგიონებში - 4 კვირის ასაკში, ხოხბის მოზარდის გაშვება სამხრეთ რეგიონებში - 6-7 კვირის ასაკში, თბილი და მშრალი ზაფხულის პირობებში ცენტრალურ რეგიონებშიც იგივე ასაკში, ხოლო გრილი და ტენიანი ზაფხულის პირობებში ჩრდილოეთ და ცენტრალურ რეგიონებში - 12 კვირის ასაკში. ამ დროისათვის ჭუკები და ლაპები თითქმის აღარ საჭიროებენ გათბობას, კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს, სწრაფად ველურდებიან და მტაცებლების უმეტესობა

მათთვის ნაკლებად საშიში ხდება. გნოლის ბუნებაში გაშვების ასაკი ემთხვევა ხოხბისას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მას გაველურებისათვის ესაჭიროება გაცილებით მეტი დრო.

გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვებიდან მასზე ნადირობის დაწყებამდე საკმაოდ დიდი დრო უნდა გავიდეს. ამ პერიოდში ფრინველი ასწრებს გაზრდას, გაველურებას, ზრდასრული ფრინველის კონდიციამდე მიღწევას, სწავლობს კარგად ფრენას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხოხბისა და გნოლის ადრეულ ასაკში ინტროდუქცია განაპირობებს მთელ ტერიტორიაზე მათ ფართო განსახლებას. თუმცა განსახლებული ფრინველის დანაკარგის შესამცირებლად მისი გაშვება ბუნებაში უპრიანია მოხდეს სექტემბრის დადგომამდე ანუ მტაცებელი ფრინველების გადაფრენამდე გაცილებით ადრე. იგი უნდა უსწრებდეს ფოთოლცვენის დაწყებასაც, როდესაც მკვეთრად მცირდება სავარგულების დაცვითი რესურსები. გარეული იხვის ბუნებრივ წყალსატევებში გაშვების ოპტიმალურ დროდ ითვლება ივნისის ბოლო – ივლისის პირველი ნახევარი.

4. ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის მოზარდის ტრანსპორტირება

ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის ტრანსპორტირება, განსაკუთრებით შორ მანძილზე, საგრძნობლად მოქმედებს მის შემდგომ სიცოცხლისუნარიანობაზე და მთლიანად ინტროდუქციის ეფექტურობაზე. ამიტომ გარეული ფრინველის სანაშენე მეურნეობიდან გადაყვანა გასაშვებ ტერიტორიებამდე უნდა მოხდეს სპეციალური ყუთებით, რომლებიც მოსახერხებელი იქნება, როგორც ავტომობილის ძარაზე განსათავსებლად, ასევე ფრინველის გადაყვანად.

25-30 დღის ასაკის იხვის ჭუკის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ყუთი რეკომენდებულია იყოს ზომით 1000X500 მმ, სიმაღლით - 250-300 მმ. მას აქვს ხის თამასებიანი გარეთა კარკასი, ფანერის კედლები და იატაკი. ვენტილაციის გასაუმჯობესებლად გვერდითი კედლების ზედა ნაწილში უკეთდება ხვრელები, წინა კედელი წვრილნასვრეტებიანი მეტალის ბადის ან გამძლე შესაფუთი ნაჭრისგანა აქვს დამზადებული, ხოლო ჭერი, რომელიც ერთდროულად შეიძლება სახურავადაც გამოდგეს და ჭუკების ამოსაყვანადაც, სატომრე ან შესაფუთი ნაჭრისგან.

იმისათვის, რომ ფრინველით დატვირთული ყუთები 2-3 იარუსად განათავსონ, ყუთის კარკასის საყრდენ კუთხეებს სახურავზე 5 სმ-ით მაღალს აკეთებენ, რის გამოც ყუთების ერთმანეთზე დაწყობის შემდეგ, მათ შორის სივრცე რჩება. ყუთის ფსკერზე არსებულ შესაბამის ღრეჩოებში, თავსდება ქვედა ყუთის საყრდენები, რაც ხელს უწყობს მათ მტკიცე გადაბმას.

ყუთებში ფრინველის ჩასმამდე მის ფსკერზე აფენენ მშრალ ქვეშსაფენს (თივა, ბალახი). როდესაც მგზავრობის ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ დღე-ღამეს, მაშინ თითოეულ ყუთში ათავსებენ 25 ფრთა იხვის ჭუკს, დასმის სიმჭიდროვე ტოლია 50 ფრთა/ფრინველი 1მ^2-ზე, ხოლო თუ ტრანსპორტირება უფრო ხანგრძლივია, განსაკუთრებით ცხელ ამინდში, მაშინ გადასაყვანი ფრინველის რაოდენობას ამცირებენ 15-20 ფრთამდე. თუ მგზავრობას 1 დღე-ღამეზე ნაკლები დრო ესაჭიროება, მაშინ მოზარდი საკვებს და წყალს არ საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში რეკომენდებულია კვებაც და დარწყულებაც.

ხოხბისა და გნოლის გადასაყვანად გამოიყენება იგივე ზომის და კონსტრუქციის, შედარებით მაღალი (300-350 მმ) ყუთი. ყუთის გვერდები და ზედა ნაწილი დაფარულია გამძლე ქსოვილით, რათა თავიდან იქნას აცილებული ფრინველის თავის ტრავმირება. როდესაც გადაყვანის ხანგრძლივობა ერთ დღე-ღამეს არ აღემატება, მაშინ თითოეულ ყუთში ისმება 45 დღის ასაკის 15 ფრთა ხოხობი, დასმის სიმჭიდროვით 30 ფრთა/ფრინველი 1 მ^2-ზე. უფრო ხანგრძლივი მგზავრობის დროს - 10-12 ფრთა/ფრინველი. ამ დროს აუცილებელია საკვებისა და წყლის მიცემა. იგივე ასაკის გნოლის მოზარდის ტრანსპორტირებისას, დასმის სიმჭიდროვე 2-ჯერ აღემატება ხოხბისას.

მანქანის ძარაზე ყუთების დაწყობის დროს ყურადღება ექცევა იმას, რომ თითოეულ ყუთამდე აღწევდეს სუფთა ჰაერით, თუმცა დაუშვებელია ორპირი ქარი. ყუთებს ძარაზე ზემოდან ბრეზენტს აფარებენ ისე, რომ ჰაერის მიწოდება არ შეფერხდეს. ფრინველის დახურული ავტოფურგონით გადაზიდვის დროს აუცილებელია ვენტილაციის არსებობა.

ფრინველის გადაყვანა ხორციელდება დღე-ღამის გრილ პერიოდში. ცხელ დღეებში - ღამით, ცივი და წვიმიანი ამინდის დროს - დღისით.

5. ბუნებაში გაშვების ტექნიკა

ფრინველის გაშვების ტექნიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს ნადირობის დაწყებამდე სავარგულებში მოზარდის შენარჩუნებას.

პრაქტიკაში გამოიყენება ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის ბუნებაში გაშვების ორი ხერხი: წინასწარი დაყოვნებით და მის გარეშე - პირდაპირ სატრანსპორტო ყუთებიდან.

ხოხბისა და გნოლის გაშვება სავარგულებში წინასწარი დაყოვნების გარეშე არ არის რეკომენდებული. რაც შეეხება იხვის ჭუკებს, მათი ინტროდუქცია პირდაპირ, მხოლოდ საკმარისი საკვების და კარგი თავშესაფრის მქონე, მცირე ზომის იზოლირებულ წყალსატევებშია (5 ჰა-მდე), დაშვებული. იხვის ჭუკებს ჩვეულებრივ ჯგუფებად, 50-100 ფრთის ოდენობით უშვებენ. გნოლის მოზარდის გაშვება შეიძლება მოხდეს ძირითადი გუნდიდან გამოწუნებულ ზრდასრულ ფრინველთან ერთად, როგორც მდედრებთან, ასევე მამრებთან. თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათია. როგორც წესი, გნოლის ბუნებაში გაშვება ისევე წარმოებს, როგორც ხოხბის.

ფრინველის დასაყოვნებლად, ბუნებაში მისი გაშვების ადგილებში აგებენ ბაკს ან ვოლიერს. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ბაკი ბადით შემოსაღვრული გადაუხურავი სივრცეა, ხოლო ვოლიერი - გადახურული. ვოლიერი ბაკთან შედარებით გარკვეული უპირატესობით გამოირჩევა, იგი ფრინველის მოზარდს მტაცებელი ფრინველებისაგან იცავს, თუმცა ბაკი გაცილებით ადვილად ასაგები და იაფია.

იხვისთვის უფრო ხშირად ბაკს იყენებენ. ხოხბის ლაპებისთვის, რომლებიც ბუნებაში გაშვების დროისთვის უკვე საკმაოდ კარგად ფრენენ, აგებენ არანაკლებ 3მ სიმაღლის კედლების მქონე ბაკს. ფრინველები, რომლების ახერხებენ აღნიშნული სიმაღლის კედლების გადაფრენას, თანდათანობით დამოუკიდებლად ტოვებენ შემოსაზღვრულ ტერიტორიას და ბუნებაში სახლდებიან. ვოლიერებში ფრინველის დაყოვნების შემდეგ, ხოხბის ლაპებს უხსნიან ვოლიერის ერთ-ერთ კედელს და უშვებენ პარტიებით, 2-3 ჯერობაზე. საადაპტაციო ნაგებობა უმჯობესია გაკეთდეს კომბინირებული, რომლის ნაწილიც 2 მ სიმაღლის კედლების მქონე ვოლიერი იქნება, ნაწილი კი 3 მ სიმაღლის კედლების მქონე ბაკი. თავიდან ყველა ფრინველს ვოლიერში ათავსებენ, შემდეგ პარტიებით 3-5 დღის განმავლობაში უშვებენ ბაკში, საიდანაც უკვე სათანადო კონდიციამდე განვითარებული ფრინველები გადააფრინდებიან რა სამმეტრიანი სიმაღლის კედლის ზღუდეს სახლდებიან მიმდებარე სავარგულებში, ხოლო განვითარებაში ჩამორჩენილები განაგრძობენ ცხოვრებას ვოლიერებში მანამ, ვიდრე დაიზრდებიან და დამოუკიდებლად შეძლებენ მის დატოვებას.

დროებითი დაყოვნება ეხმარება ხელოვნურად გამოზრდილ ფრინველს გარემო პირობებთან შეგუებაში და ორიენტაციის განვითარებაში, დამღლელი ტრანსპორტირების შემდეგ ძალების მოკრებაში, გაველურებაში. ვოლიერის დატოვების შემდეგ ფრინველები მის სიახლოვეს სახლდებიან, ისევ მიწოდებულ საკვებს იღებენ, რაც მათი ეფექტურად დაცვის საშუალებას იძლევა. საადაპტაციო ვოლიერის ან ბაკის ასაგებად სათანადო ადგილის სწორად შერჩევა მნიშვნელოვნად მოქმედებს ფრინველის ბუნებაში წარმატებით გაშვებაზე და საადაპტაციო ნაგებობის ხანგრძლივად გამოყენების შესაძლებლობაზე. ვოლიერებს, როგორც წესი, შერჩეული ნაკვეთის ცენტრში აგებენ და ყოველწლიურად იყენებენ. იმისათვის, რომ ვოლიერი გამოსაყენებლად და შესანახად მოსახერხებელი იყოს, მის კედლებს ასაწყობი ნაწილებისგან ზომით 2X3 ან 3X3 მ ამზადებენ. რეკომენდებულია, ვოლიერის ლითონის ბადისაგან დამზადებული კედლების მიწაში 30 სმ სიღრმეზე ჩაფვლა, რაც მასში ოთხფეხა მტაცებლების მოხვედრის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. იგივე მიზნით, წარმატებით გამოიყენება ასბოცემენტის ფილებიც.

იხვის მოზარდეულისთვის ვოლიერს აწყობენ წყალსატევის ან კუნძულის მშრალ, დაქანებულ ნაპირზე, ისე რომ მისი 1/3 ნაწილი იყოს მეჩხერ წყალში, ხოლო დანარჩენი ნაპირზე. მას შეიძლება ნებისმიერი კონფიგურაცია ჰქონდეს, თუმცა უმჯობესია – წაგრძელებული. ვოლიერის ზომა დამოკიდებულია იხვების რაოდენობაზე, დასმის სიმჭიდროვის გათვალისწინებით, რომელიც 1 მ2-ზე (წყლის სარკის ფართობის ჩათვლით)

არ უნდა აღემატებოდეს 4-6 ფრთას. ვოლიერის შიგნით უნდა იყოს ბუნებრივი თავშესაფარი (სანაპირო რაყა, ნაპირზე ბუჩქნარი და სხვ.), წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხელოვნურად აშენებენ. აქვე ათავსებენ ბუნკერულ საკვრბურებს. ერთი საკვებური გათვალისწინებულია 20 ფრთაზე, კვების ფრონტით 3-4 სმ ფრთა/ფრინველზე.

ფრინველის ვოლიერში შენახვის ვადა დამოკიდებულია წყალსატევის თვისებებზე, ამინდის პირობებზე, მოზარდეულის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ჩვეულებრივ იხვის ჭუკებს ვოლიერში 5-10 დღეს ინახავენ, რის შემდეგ ვოლიერის ერთ ან რამდენიმე კედელს ხსნიან და ჭუკებს ათავისუფლებენ. მათ 2-3 ჯერობაზე 1-2 დღიანი ინტერვალით უშვებენ.

ხოხბისათვის საადაპტაციო ვოლიერს მზიან მინდვრებზე ან ტყის პირებზე აწყობენ. მას აუცილებელად წაგრძელებული ფორმა უნდა ჰქონდეს, რათა მომსახურე პერსონალის მიახლოებისას, ფრინველს ვოლიერის სიღრმეში მიმალვა შეეძლოს. სამხრეთისკენ მიმართულ ვოლიერის მზიან მხარეს, აწყობენ ფარდულებს (უამინდობის დროს თავის შესაფარებლად). 6-8 კვირის ასაკის ფრინველის გაშვების დროს, ფარდულში გათვალისწინებულია გამათბობლის მოწყობა (ელექტრო, გაზის და ა.შ.), რათა იგი დაცული იყოს ცივ ამინდში. ფარდულს აწყობენ ზომით უნდა იყოს 2X2 ან 3X3მ, სიმაღლით 0,5-1,5 მ. ვოლიერის ზომა დამოკიდებულია ბუნებაში გასაშვები ხოხბის რაოდენობაზე. დასმის სიმჭიდროვე ხოხბისათვის ერთ ფრთაზე 2მ2-ია, გნოლისათვის - 1 მ2. ვოლიერის შიგნით რგავენ ფრინველის საკვებად ვარგის მცენარეებს ან იყენებენ ბუნებრივ მცენარეულობას. ვოლიერის გასწვრივ მთელს პერიმეტრზე სასურველია იყოს ბუჩქნარი, განსაკუთრებით ფრინველის გასაშვებად გამიზნულ ნაწილში. ვოლიერში ბალახეული და ბუჩქნარი მცენარეების თანაფარდობა აუცილებლად უნდა იყოს 1:1. მნიშვნელოვანია, რომ გამოსაშვები ფრინველი გაეცნოს სავარგულში არსებულ საკვებ მცენარეებს. ვოლიერში ათავსებენ მკბენარების მოსაშორებელ ნარევს, რომელიც ქვიშის, მტვრის და ნაცრისაგან შედგება. ფრინველის გაველურების დასაჩქარებლად იყენებენ ბუნკერულ საკვებურს, რომელიც გათვალისწინებულია 20-25 ფრთაზე, კვების ფრონტით 5 სმ 1 ფრთა/ფრინველზე. ბუნებრივი წყალსატევების არ არსებობის შემთხვევაში ვოლიერში სარწყულებლებს იგივე ნორმებით აწყობენ, როგორითაც საკვებურებს. სარწყულებლად იყენებენ შუაზე გადაჭრილ საბურავებს, საკვებურებად კი ყუთებს ან ხის კასრებს.

ფრინველის შენარჩუნების გაზრდის მიზნით, ბუნებაში გაშვებულ ხოხბის ლაპებს ხეზე ღამის თევას აჩვევენ, რითაც მათ მტაცებლების თავდასხმისაგან იცავენ. ამ მიზნით ჯერ კიდევ ვოლიერში აწყობენ ხის თამასებისაგან დამზადებულ ქანდარებს. სავარგულებში, დედამიწის ზედაპირიდან 1,5-2 მ-ის სიმაღლეზე მოთავსებული ბუნკერული საკვებურების გამოყენებას, ფრინველებს ჯერ კიდევ ვოლიერებში აჩვევენ. ამისათვის იყენებენ ქანდარებს, რომლებსაც საკვებურებზე აბჯენენ.

ბუნებაში, ნადირობის სეზონის დაწყებამდე, შემდგომი გამოზრდისათვის გაშვებული გარეული ფრინველის პარტიებში, ფრინველის რაოდენობა 500 ფრთაზე ნაკლები არ უნდა ირიცხებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფრინველი “ქრება” სავარგულში

განსახლებისა და სიკვდილის გამო. სავარგულებში იხვის პარტიების გაშვების დროს, მნიშვნელობა არა აქვს სქესობრივ თანაფარდობას. გნოლებისა და ხოხბების შემთხვევაში კი აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, რომ მამლების სიჭარბის დროს იზრდება ფრინველის გაფრენის რადიუსი გაშვების საწყისი ადგილიდან. ამიტომ სქესობრივი თანაფარდობა სასურველია იყოს 1:1.

ბუნებაში გასაშვები ფრინველის დაყოვნება ვოლიერებში დამოკიდებულია მის ასაკზე, ფიზიკურ მდგომარეობაზე და ამინდის პირობებზე, თუმცა იგი ერთ კვირაზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამ დროს ხოხბებს კვებავენ იმავე საკვებით, რითაც მეურნეობაში გამოზრდისას. შემდეგ თანდათანობით საკვებ რაციონში ამატებენ მარცვლეულს, მარცვლეულის ანარჩენებს, აგრეთვე მახლობელ სავარგულებში მზარდი სარეველა ბალახების თესლებს. კვების ნორმები დაყოვნების პერიოდში ისეთივეა, როგორიც გამოსაზრდელ ფერმებში.

ფრინველის გაშვება სასურველია მოხდეს დღის მეორე ნახევარში, რათა მათ შორს გაფრენა ვერ შეძლონ. ბოლო ჯგუფის გაშვების შემდეგ, ფრინველს საკვებს ვოლიერში მანამდე უყრიან, სანამ ისინი მასში შესვლას არ შეწყვეტენ. ფრინველის სატრანსპორტე ყუთებიდან საადაპტაციო ნაგებობაში გადასმის დროს მას სპეციალური რგოლებით ნიშნავენ, რაც აუცილებელია მათზე კონტროლის განსახორციელებლად. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ფრინველის მიერ არეალის დაკავების ფართობის დადგენს, მის შენარჩუნებას და ნადირობის დროს ფრინველის ეფექტურ გამოყენებას.

სავარგულებში გასაშვები იხვის რგოლით ნიშანდებას მხოლოდ მეცნიერული მიზნებისათვის ატარებენ. სამეურნეო საჭიროებისთვის ნიშანდებას ახორციელებენ ფრინველის თითებშორისი აფკის დასერვით. ერთი ასეთი დანასერი შეესაბამება გაშვების წელს. ამდენად ნიშანდების ეს მეთოდი გაანგარიშებულია 4 წელიწადზე.

ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის გაშვება უნდა გაფორმდეს შესაბამისი აქტით. გარდა ამისა, თუ ფრინველის ნიშანდებას აწარმოებდნენ სპეციალური რგოლის საშუალებით, მაშინ აუცილებელია შესაბამისი უწყისის შედგენა.

6. ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვების დროს ჩასატარებელი ბიოტექნიკური ღონისძიებები

ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვების დროს ატარებენ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელიც ხელს უწყობს ფრინველის შენარჩუნებას ნადირობის სეზონისათვის. უწინარეს ყოვლისა აძლიერებენ ინტროდუცენტებისათვის განსასახლებელი ტერიტორიების დაცვას, მინიმუმამდე ამცირებენ ფრინველზე სტრესული ფაქტორების ზემოქმედებას (პირუტყვის ძოვება, თიბვა, ტყის ჩეხვა და სხვა).

ბიოტექნიკური ღონისძიებების სპეციფიკა, რომელიც ტარდება ნადირობის სეზონისათვის სავარგულების გარეული ფრინველით გამდიდრების მიზნით, მდგომარეობს ზაფხულ-შემოდგომის სეზონზე ფრინველის ნორმალური არსებობისათვის საუკეთესო პირობების შექმნაში ანუ წარმოებს სავარგულების დაცვითი და კვებითი მახასიათებლების სეზონური გაუმჯობესება.

ამავდროულად ისახება გზები ინტროდუცირებული ფრინველის მტრების რაოდენობის შესამცირებლად. მელიის, ენოტისმაგვარი ძაღლის და სხვა სახეობის ბეწვიანი მტაცებელი ცხოველების მონადირება უნდა მოხდეს ზაფხულის დადგომამდე, მათი რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. რაც შეეხება ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის ფრთოსან მტრებს, ისინი ნადგურდებიან მიღებული ხერხებით ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ყვავების და კაჭკაჭების განადგურების ყველაზე რაციონალური მეთოდი არის მათი მდედრების დახოცვა კვერცხებზე ჯდომის დროს ბარტყების გამოჩეკვის პერიოდში. ასეთი სახით მდედრის მოკვლის შემდეგ, მის ბუდეში სხვა წყვილი მომდევნო წლამდე არ სახლდება. სხვა შემთხვევაში ყვავისებრთა დასაჭერად შეიძლება გამოყენებული იქნას სპეციალური ხაფანგები. მტაცებელ ფრინველებთან ბრძოლას განსაკუთრებულად აქტიურად აწარმოებენ გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვების შემდეგ, რადგან ამ დროს მათ შეუძლიათ დიდი ოდენობით თავის მოყრა ინტროდუქციის ადგილებში.

სავარგულებში, სადაც რეგულარულად უშვებენ ხელოვნურად გამოზრდილ გარეულ ფრინველს, რგავენ ერთწლიან და მრავალწლიან საკვებ და დამცავ მცენარეებს, რომლებიც აუმჯობესებენ სავარგულის კვებით და დაცვით მახასიათებლებს. სარგავი და სათესი მცენარეების სახეობრივი შემადგენლობა განისაზღვრება ტერიტორიის ნიადაგურ-კლიმატური პირობებით, ასევე ბუნებაში გასაშვები გარეული ფრინველის სახეობით.

ბუჩქნარიდან უპირატესად რგავენ ასკილს, კუნელს, კოწახურს, აკაციას, ქაცვს, კვრინჩხს და ა.შ., ხოლო ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები მცენარეებიდან იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს: მარცვლოვნებს, საკვებ ბალახებს და ა.შ.

წყალმცურავი ფრინველების არსებობის პირობების გაუმჯობესების მიზნით მათი ბუნებაში გაშვების წინ აწარმოებენ სანაპირო ზოლის, კუნძულების წმენდას ბარდისგან (ყრიან ქვიშას, კენჭებს) და ქმნიან ხელოვნურ კუნძულებს.

გარეული ფრინველის ბუნებრივ სავარგულში გაშვების შემდეგ ბიოტექნიკური ღონისძიებები მიმართულია ფრინველის შემდგომი გამოკვებისაკენ, განსაკუთრებით დამოუკიდებლი ცხოვრების დასაწყისში. პირველ ხანებში საკვებურებს აწყობენ ვოლიერის გარშემო, სადაც გათავისუფლებული ფრინველი მოემართება ჯერ კიდევ ტყვეობაში მყოფ მოძმეებისაკენ. გარდა ამისა საკვებურებს აწყობენ სავარგულის იმ ნაწილშიც, სადაც განსაკუთრებით დიდია ინტროდუცირებული ფრინველის კონცენტრაცია. ეს ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებაში გაშვების პირველ პერიოდში, რადგან იგი ხელს უწყობს ინტროდუცირებული ფრინველის ბუნებრივ საკვებთან თანდათანობით შეგუებას.

კომპლექსურ დასაპურებელ მოედნებს ხოხბისა და გნოლისათვის აწყობენ გაანგარიშებით 1 მოედანი 10 ჰა ფართობზე, ან 1 მოედანი ოცი და მეტი ფრინველისაგან შემდგარ ჯგუფზე. აღნიშნული მოედნები აღჭურვილია ბუნკერული ტიპის საკვებურებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი კენჭებიანი ჭურჭლით, (ფრინველის თავისუფალი შენახვა შემოსაზღვრულ მოედანზე - პარხალიშჩე) და სარწყულებლებით.

ასეთ მოედნებს აწყობენ ბუჩქნარში, ლერწმიანში ან უშუალოდ მათ ახლოს. სასურველია მზით განათებულ სამხრეთის მხრიდან, რათა ფრინველებმა შეძლონ გათბობა. დასაპურებელ მოედნებზე ბუჩქნარისა და სხვა მცენარეების არსებობა ამცირებს კვების დროს ინტროდუცირებულ ფრინველზე თავდასხმის ალბათობას მტაცებელი ფრინველის მხრიდან.

ბუნკერული ტიპის საკვებურები ხელს უწყობს ფრინველის არა მარტო სწრაფ გაველურებას, არამედ საკვების ეკონომიურ ხარჯვას და მომსახურეობაზე დახარჯული დროის შემცირებას. საკვებურებს საკვებით ავსებენ რამდენიმე დღეში ერთხელ, საკვების ათვისების მიხედვით. ბუნებრივ სავარგულებში დიდი რაოდენობით ჩლიქოსნების, განსაკუთრებით გარეული ღორის არსებობის შემთხვევაში, საკვებურებს ათავსებენ სპეციალურ სადგამზე, რომელიც საკმაოდ დაცილებულია მიწის ზედაპირიდან და მიუწვდომელია მათთვის. ასეთ საკვებურებზე ხოხბების მიჩვევა ჯერ კიდევ საადაპტაციო პერიოდში ხდება.

ზამთრის პერიოდში, გარეული ფრინველის ბუნებაში აკლიმატიზაციისა და რეაკლიმატიზაციის მიზნით გაშვების დროს, აუცილებელია დასაპურებელი მოედნების სისტემატური წმენდა თოვლისაგან, ამასთანავე ბილიკების გაყვანა. თოვლისა და თრთვილისაგან მინდვრის ცალკეული ნაწილების წმენდა, ხოხბისა და გნოლისათვის რაციონში დამატებით მწვანე საკვების წყაროს აჩენს.

იხვს დამატებით საკვები ეძლევა წყალსატევის ნაპირზე ან ტივზე მოთავსებული საკვებურიდან. პირველ ხანებში მასში ყრიან იმავე საკვებს, რითაც ფრინველს ფერმაში კვებავდნენ. შემდეგ თანდათანობით ზრდიან საფურაჟე მარცვლეულისა და მარცვლეულის ანარჩენების წილს. ამასთან ერთად აკვირდებიან საკვების ათვისების დონეს და როგორც კი ფრინველი შეწყვეტს საკვებურებში ჩაყრილ საკვებით სარგებლობას, ფრინველის ხელოვნურ დაპურებას წყვეტენ. ყოველივე ამას აკეთებენ ისე, რომ იხვი მიიღტვოდეს საკვებურების განლაგების ადგილისკენ და ამასთანავე დადებითად არ რეაგირებდეს ადამიანზე, რომელიც საკვებს ურიგებს. ამისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს ბუნკერული საკვებურები, ხოლო მათი შევსება მოხდეს ღამით, უძრავო ნავების საშუალებით, რათა იხვს არ გაუჩნდეს დადებითი რეფლექსი საკვების გაჩენის მიმართ ადამიანის დანახვაზე და ძრავის ხმის გაგონებაზე.

ბუნებაში გაშვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რეკომენდებულია მოხდეს იხვების სპეციალური “დაშინება”. ამისათვის მათი თავშეყრის ადგილებში ახორციელებენ გასროლას ცარიელი მასრებით. ნადირობის დაწყებამდე კი ერთი კვირით ადრე, რეკომენდებულია

რამდენიმე ინტროდუცირებული ფრინველის მოკვლა ისე, რომ მისი დაღუპვა სხვებმა დაინახონ.

მონადირებას გადარჩენილი ბუნებაში გაშვებული იხვების ნაწილი, გამოსაზამთრებლად მიფრინავს, ბრუნდება უკან გაშვების ადგილებზე და იწყობს ბუდეს. ფერმაში გამოზრდილი იხვი ხშირად ჯდება ხელოვნურ ბუდეებში, ნაკლებად მფრთხალია და უკეთ ადაპტირდება ანთროპოგენულ ლანდშაფტებზე. ამიტომ სავარგულებში, სადაც ხორციელდება ბიოტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია სავარგულებში ბუდეების რაოდენობის გაზრდისაკენ, პირველ რიგში მიმართავენ ხელოვნური ბუდეების განლაგებას, რომელთა დაკავების ალბათობაც ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველების მიერ უფრო მაღალია ვიდრე გარეულ პირობებში გაზრდილი იხვებისა.

7. ბუნებაში გაშვებულ გარეულ ფრინველზე ნადირობის ორგანიზაცია

ნადირობა ხელოვნურად გამოზრდილ იხვზე, ხოხობზე და გნოლზე ისეთივეა, როგორიც მათ ველურ მოძმეებზე, მსგავსია ნადირობის ხერხებიც. აღსანიშნავია, რომ სწორად ორგანიზებული ნადირობა ბევრად განსაზღვრავს გარეული ფრინველის მოშენების ეფექტიანობას.

ნადირობის სეზონის დაწყებამდე კეთდება ინტროდუქციის შედეგების ანალიზი და მიმდინარეობს ნადირობის საორგანიზაციო ღონისძიებების შემუშავება ნადირობის შესახებ მოქმედი კანონებისა და ნორმატიული აქტების გათვალისწინებით.

ნადირობის ვადები ხელოვნურად გამოზრდილ ხოხობზე დამოკიდებულია ბუნებაში მისი გაშვების მიზნებსა და მეთოდებზე, ასევე იმ ტერიტორიის პირობებზე, სადაც მას ასახლებენ (უწინარეს ყოვლისა დაცვითზე), ნადირობის ხერხებზე და ა.შ. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხოხბის სრული განგური, რომლის შემდეგ იგი განსაკუთრებულ სანადავლო ღირებულებას იძენს, ნოემბერში მთავრდება.

განისაზღვრება ინდივიდუალური და კოლექტიური ნადირობის ადგილები, სროლის ხაზები, სექტორები და ა.შ. ფრინველის ეკოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე ეწყობა და სათანადოდ აღიჭურვება მასი მისამწყვდევები. მიმწყვდევით ნადირობები უმჯობესია მოეწყოს ფრინველის გავრცელების არეალის პერიფერიიდან ცენტრისკენ, რათა არ მოხდეს მოსანადირებელი ფრინველის გადადენა განსახლების ფარგლებს გარეთ.

ხოხბის თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც ფრინდება მხოლოდ ღია ადგილის ან ზღუდის წინ, სროლის ხაზები ეწყობა მინდვრების, ველების, გზებისა და განაკაფების გასწვრივ.

საუკეთესო შედეგებს იძლევა ფრინველის მიმწყვდევა ცოცხალი ჯაჭვის მეშვეობით. მონადირეები ჯერ ნელა, აუჩქარებლივ მიიწევენ წინ-ფრინველისაკენ და მხოლოდ

უშუალოდ სროლის ხაზის წინ უჩქარებენ ფეხს და უმატებენ ხმაურს. ასეთი ხერხით მიიღწევა ხოხბების თითქმის ერთდროული აფრენა. იგივე მიზნებისათვის მონადირე ძაღლების გამოყენება, განაპირობებს ფრინველის ეფექტურად აფრენას და ამცირებს დაჭრილების დანაკარგებს. ზოგიერთ ფრინველებით გაჯერებულ ადგილებში, მიმწყვდევით ნადირობა დღეში 2-3 ჯერაცაა შესაძლებელი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და გაშლილ ადგილებში ინდივიდუალური და პატარა ჯგუფებით ნადირობის დროს კარგია დაგეშილი ძაღლების გამოყენება. ასეთი ნადირობა მიზანშეწონილია განხორციელდეს ჯერ პერიფერიული ნაკვეთების მიჯნაზე, ასევე სეზონის ბოლოს, როცა გარეული ფრინველების ძირითადი მასა უკვე მონადირებულია.

როდესაც ფრინველის ინტროდუქციას ეწევიან იმისათვის, რომ მან საბოლოო ზომებს მიაღწიოს, ნადირობის სეზონზე ცდილობენ გაშვებული ფრინველი მთლიანად მოინადირონ მანამდე, ვიდრე დადგება გარეული ფრინველის არსებობისათვის ზამთრის არახელსაყრელი პირობები.

ხელოვნურად გამოზრდილი იხვებისათვის დამახასიათებელი თავისებურება არის მათი ძლიერი მიჯაჭვულობა იმ ადგილებისადმი, სადაც მოხდა მათი გაშვება.

ზოგჯერ იხვები წყალსატევს მისი სრული გაყინვის შემდეგაც კი არ ტოვებენ. ყინვიანი დღეების მოახლოებისას აუცილებელია წყალსატევებზე არსებული ფრინველის ინტენსიური მოპოვება. ბუნებაში გაშვებულ იხვებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს მძიმე ექსტერიერის მქონე ინდივიდები. ისინი ჩვეულებრივ კონცენტრირდებიან იმ ზოლებში, რომლებიც არ იყინება. ასეთ ადგილებში ნადირობა უნდა განხორციელდეს მათ სრულ განადგურებამდე.

ერთი და იმავე წყალსატევში იხვების რამდენიმე ჯგუფის გაშვების დროს, შესაძლებელია რომ ბოლო ჯგუფის მოზარდეული არასაკმარისად გაველურებული აღმოჩნდეს და ნადირობის დასაწყისისთვის ვერ შეძლოს აფრენა. ამ შემთხვევაში აუცილებელია დაცული იქნეს სროლის უფლება მხოლოდ იმ ფრინველზე, რომელიც ცაშია. ბოლო გაშვების მოზარდეული ნადირობის ობიექტად ნადირობის სეზონის შუაში იქცევა.

რგოლშებმულ ან სხვა ნიშნის მქონე ნანადირევ ფრინველს სამეცნიერო მნიშვნელობა გააჩნია. ამიტომ მათ შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს სამონადირეო მეურნეობის ადმინისტრაციას, ხოლო შემდეგ ფრინველებისა და დედამიწაზე გავრცელებულ ცხოველთა ნიშანდების სპეციალურ ცენტრს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Валькович В. Выпуск искусственно выращенных кряковых уток в угодья. — В кн.: Передовой опыт в охотничье-рыболовном хозяйстве. Вып. 2 (25). — М.: Россельхозиздат, 1983, с. 76-80.**
2. **Валькович В.М. Интродукция искусственно выращенных фазанов в охотничьи угодья. - Искусственное разведение фазанов. Сб. науч. тр. ЦНИЛ Главохоты РСФСР.— М.,1983, с. 167-187.**
3. **Валькович В.М. Выпуск дичи в охотничьи угодья. — Буклет ВДНХ СССР. - М.: Колос, 1984.**
4. **Валькович В., Дуденко Н., Сметанин А. Фазаны «под ружье». — Охота и охотничье хозяйство. — М., 1985. № 7, с. 4-6.**
5. **Габузов О.С. Искусственное дичеразведение. – Учебное пособие. Иркутск. 1984, 51 с.**
6. **Кузнецов Б.А. Дичеразведение. – М.: Лесная промышленность, 1972, 184 с.**
7. **Кузнецов Б.А. Биотехнические мероприятия в охотничьем хозяйстве. - М.: Лесная промышленность. 1974, 222 с.**
8. **Кулих М. Практическая охота: Пер. со словацк. - М.: Лесная промышленность. 1980, 248 с.**
9. **Малиновский А.В. Охотничье хозяйство европейских социалистических стран. — М.: Лесная промышленность. 1973. 175 с. 396.**